

საქართველოს კანონი

“საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. “საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ” საქართველოს კანონში (საკანონმდებლო მაცნე №150 23.02. 2000 წელი) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-5 მუხლს დაემატოს მეორე პუნქტი. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
პუნქტი 2. „ამ მუხლით გათვალისწინებული კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება ქარწყლდება საქმის წარმოების ამა თუ იმ საფუძვლით შეწყვეტის ან მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემის მიზნით დადგენილებით (გადაწყვეტილებით) საქმის სადისციპლინო კოლეგიისათვის გადაცემის მომენტიდან“.
2. 24 –ე მუხლის მე-4 პუნქტის “გ” ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;
3. 30-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
პუნქტი 4 “სადისციპლინო კოლეგიის სხდომები დახურულია”.
4. 73 –ე მუხლის “გ” ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.
5. თავი VI-ის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
“სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებების გამოქვეყნება და სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება”.
6. მუხლი 81 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„სადისციპლინო კოლეგია და სადისციპლინო პალატა ვალდებულნი არიან გამოაქვეყნონ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, სადაც აღნიშნულია მოსამართლისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის, დისციპლინური სახდელისა და დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების შესახებ შესაბამისი საფუძვლების მითითებით“.
7. მუხლი 82 ამოღებულ იქნეს.
8. 88 მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
პუნქტი 2. „სხვა თანამდებობის პირთათვის, დაწესებულებებისათვის, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებისათვის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სტატისტიკური ინფორმაციის გადაცემა დაშვებულია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი